ორ საათზე სასადილო ოთახში შემობრძანდა თვით ბ-ნი სარაჯიშვილიც ორი დეპუტატიურთ, რომელნიც საზოგადოების მიერ მისდა მოსაყვანათ იყენ გაგზავნილნი, და ცოტა ხნის შემდეგ სადილიც გაჩაღდა. სადილმა, მხიარულათ ჩაიარა; ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ალ. სარაჯიშვილი ყველასათვის საყვარელი პირია. სიყვარულის და პატივისცემის დამსახურება კი შეუძლია მხოლოთ მას, ვისიც გულში სიმატლის ლამპარი ღვივის, ვინც მხოლოთ კეთალ და სწორ საქმეს ემსახურება და არა პირადობას. ამიტომაც გრძნობით წარმოთქმულ სიტყვებში ნათლათ იხატება წუხილი: დიახ, დღეს ეშორდებით არა მარტო სწორს და პირუთენელ უფროსს, არამედ მოსიყვარულე ძმას, ამანასს და მეგობარსო. სადალზე წარმოთქვა სიტყვა აგრეთვე ბნმა ვიცე-გუბერნატორმა, რომელმაც სხვათა შორის დაახლოებით შემდეგი განმარტა: მე როგორც გხედავთ, დიდი პატივისცემა და სიყვარული გკონიათ „ჩვენი ალექსანდრე ივანიჩისა“. თქვენთვის, რასაკვირველია, საძველია ამისთანა პარის მოშორება, მაგრამ ამასთანვე მასაც ნუ დაივიწყებთ და დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენც არა ნაკლებ თქვენზე გვიყვარს და კიდე უფრო მეტათ შევიყვარებთ იმ ალექსანდრე ივანიჩს, რომლის ჩვენს წრეში საერთო უღლის საწვეათ შამოერთებას ასე მოუთმენლათ მოველოდითო. სხვა სიტყვებში აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ ბ-ნი ალ. სარაჯიშვილი არა მარტო იშვიათი მოხელეთაგანია, არამედ ღირსეული მამულიშვილიც, რომლის მოღვაწეობას არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს ქართულ საკრიტიკო ლიტერატურაშიო.

საზოგადოება საღამოს შვიდ საათზე დიდათ ნასიამოვნები დაიშალა.

ა. ყუმიისთაველი.

* *

დ. სონი. წელს აღარ დაიშალეს აქაურმა „ვაკურ ჩარჩებმა“ და ჩამოზიდეს აბრეშუმის თესლი, რომელიც საეჭვოა, რომ კარგი იყოს. იმედი გვაქვს, აქაური ადგილობრივი ბოქაული ყურადღებას მი-

აპრობს და არ გააყიდვინებს შეუმოწმებლათ თესლსა.

როგორც გადმოგვცა „მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის“ მმართველმა, მას ექნება ნამდვილათ შემოწმებული და სალი თესლი სამი ათას კოლოფამდე.

მ მარტს, ს. კუნში, ამ „ამხანაგობას“ თავის საკუთარ სახლში ქონდა წლიური კრება, წაიკითხეს ანგარიში, რომელმაც ნათლათ დაგვანახვა მთელი წლის წარმოება; კრება დიდი სიხარულით დამალა.

ამ კრებამ დაადგინა სხვა ადგილებშიაც გაავრცელოს თავის წარმოება და კიდევ დაბეჭდოს მეორე ათასი წილის ბარათები. დიდი ალტაცებით მადლობა განუცხადეს „ამხანაგობის“ მართველს ბ-ს წერეთელს. ხალხი ბევრი დავსწრო, მაგრამ უფრო მეტი იქნებოდა რომ წვიმას არ დაეშალა.

კასიგო გუბელი.

* *

ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

მოწყალეო ხელმწიფე. ქალბატონო რედაქტორო!

ამ წლის იანვარსა და თებერვალში თოვლითა მთელის ზუგდიდის მაზრის მცხოვრებთ დიდი ზარალი მისცა და იმსხვერპლა რამდენიმე კაცი. თოვლის ქვეშ არის დამარბული 52 სული ორივე სქესისა და ურცხვი საქონელი, სიმინდი, ჩალა, თივა და სხვა. მცხოვრებნი უკიდურეს მდგომარეობაში არიან ჩაცვივნი. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით დაარსებულ იქმნა ადგილობრივი კომიტეტი დაზარალებულთა დასახმარებლათ. თანახმად დადგენილებასა აღნიშნულის კომიტეტისა, მოგმართეთ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფეო. და უმორჩილესათა გთხოვთ მიიღოთ თქვენს რედაქციაში ხელის მოწერა შემოწირულებათა ვაჭარებულთა სასარგებლოთ და შემდეგ შემოწირულებანი გამოგზავნოთ დ. ზუგდიდის მაზრის სასამართლოში.

დავითები გულითადათ თქვენი პატივისცემული თავმჯდომარე კომიტეტისა, ზუგდიდის მაზრის მმართველი, თავადი დადიშქელიანი.



ორრიოდე სიტყვა განსვენებული გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ.

1895 წელს მძვინვარეობის დროს თვისი ბრძანებით, მრავალს აღუწერია ცხსრე ცრემლები და მრავალს

გულ მამულისთვის სსსარგებლო შეიღებს გაუთხარს სამრე და გამოასაღმა წუთისოფელს. ვინც აქ დაჯრნით, გულს-სელ დაჯრეფილი ვეკედრებოდიო ღმერთს, რომ აუბრებია ჩვენგან ეს საზარელი და გაუტანელი წელიწადი და მომავალს შეეცვალა ჩვენი მწესობა მხიარულებათ. მაგრამ ამით! — ნათქვამია: „კვის გვეყრე და უის შეეყარეო“. სწორეთ ეს ანდაზა აგვისდა. დადგა თუ არა ასლი წელი, გამოკლილი ჭირი და მწესობა ადარგვამბა, მან ისმარა ენერგიული დონის-ძიება და დასაგრული შეელის მაგიერ მკაცრი და სსსტიკი სსსჯელი მოგვეყენა, გამოკლამათა წარსულ წელს და თითქმის ვინით ეუბნებოდა: ახა შენ და ახა მეო. თუმცა წარსულმა წელმა ნიაღვრებით აგვადება სელი ნამუშევარზე სინჯისდას იმედი მოგვისპო, ახალი წელიწადიც არ ჩამოაჩნა მას. ამან სულ სსვა სსსჯელით ინება ჩვენი დასჯა. უელამდე თოვლით აგვავსო და ერთბაშით სსსტიკი თავზანი დაგვცა: მოგვისპო გზები, ჩაგვიტყრონა სსსლები და სს. რაც შეესება სიკვდილით დასჯას, თუმცა წარსულ წელს არ დაუყრია სიკეთე, არც ახლამ შეგვიბრუნა, გადააჭარბა კიდევ, დაფარა მთელი სასარგებლო გლავის სეწარით და გამოგვგლავა სელიდან ეოვლად პატიოსანი, მამულისთვის თავგანწირული, მშობელი, მოსარჩლე ობოლთა და ჯგირვთა, სხეობისა და კაცობრიობის აღმადგენელი დაუღალავი მღვდელთ მთავარი მამა გარბიელი.

განსვენებული იყო ერთბაშით ერთი მაგალითი, რომელიც ჩვენთვის ხატება იყო სითვადანისა, შრომის მოყვარეობისა და ღვთისა და ერისადმი სიყვარულისა. ის მსახურებდა სიმართლას, დეკანია ეოველ გვარ შურისძიებას და აკაცობას, არ ატყვავა ეურადღებას გარეგან სიმშენიერეს, ამოსებოდა სადათ, რომ გოტრ უბრ-ო მწირი და მნასკელი, განსაკუთრებით სსშინათ, სშირათ ვერ წარმოადგენდა, რომ ის მამა განბიელი იყო. აი, სწამსტიტი მაგალითი, რომელიც გვიტყვიებს მის თავმდაბლობას.

ერთ შევნიერ განაფსულის დღეს ერთი მოსწავლე თავანი, რომელსაც ჭიონდა სურვილი გაეგრძელებია სწავლა-განათლება და გაეგონა, რომ მამა განბიელი შემწეობას აძლევს ამ მხრით ეველსო, მოვიდა მამა განბიელთან სათხოვნელათ. მოსწავლე ავიდა სასლის ბაღვონზე თუ არა, უეცრათ წამოვარდა კეპერითელა ქოფავი. ამ მოსწავლეს ისე ეშინოდა ძაღლისა, რომ, თუ ძაღლი სადმე ეგულებოდა, იმ ქუჩაზე ადარ გაეკლიდა. შისისგან ზარ-დაცემულმა მოსწავლემ ვერა მოასერსა-რა, უცრათ ასტა გრძელ სკამზე და იქიდან მორთო სსშინელი ღრიალი: მიშეკეთ, ძაღლემამ შემწამესო. ამ ხმაურობას მამა განბიელმა მოჰგვარა ეური და იმწამსვე იქვე გაჩნდა. მას ეცვა ძველი ბამბაზის ასალუსი (კაბა), თავზე ესურა ძველებური ფაფახი, წელზე ჭიონდა შე-

მორტყეული გრძელი ფიგურისანი სარტყელი და ფეს-
ბზე ეცვა ძველი ქოშები. დაინახა თუ არა ემაწვილმა
მამა გაბრიელი, შესძახა: „ბურო, რას გზერებულხარ, მა-
მაშორე ძაღლი!“ ამდროს მამა გაბრიელი მიუხსლოვდა
ემაწვილს, ძაღლი მოაშორა და დიმილით უთხრა: „ჩა-
მოდი, შეილო, ნუ გეშინია.“ ემაწვილი კანკალით ჩა-
მოვიდა სკამიდან და უთხრა მის წინ მდგომ მამა გაბ-
რიელს, რომელიც მას მოსმასსურე ბერი ეგონა. „ბა-
ტონი, შინ ბრანდებუა? გაბრიელმა ჰკითხა: რა საქმე
გაქვს? ემაწვილმა მიუგო. „ცოტა რამ სათხოველი მაქვ-
სო და, თუ შეიძლება, მოასხენეთ.“ გაბრიელმა მიუგო.
„მაინც მითხარით, რა თხოვნაა?“ მოსწავლეს გული მოუ-
ვიდა და უთხრა: „რა შენი საქმეა, ბურო, რა გაქვს
სათხოველი! შენ გეუბნები შედი და მოასხენეთო.“
გაბრიელს დიმილი მოუვიდა, ემაწვილს სელი დააღვა
თავზე და უთხრა: მე ვარ, შეილო გაბრიელი. რა საკვირ-
ველთა, მოსწავლე იმ წამსვე ტუდ მდგომარეობაში ჩავარ-
და, ბოდიშით ფეს ქვეშ ჩაუვარდა მამა გაბრიელს და
სელებზე ეამბოხა. მამა გაბრიელმა ემაწვილი ფესზე წა-
მოაყენა და მიიწვია ოთახში, სადაც მოსწავლეს მრავალი
უქადაგა და შეძვეტ კაყოფილი გაისტუმრა.

აი, ასე თავმდაბლი იყო განსვენებული, ყველას-
თვის შემწე, მატყვის მტყეელი და მიძღუბი. გაუმდაჯარმა
სიკვდილმა მოგეტაცა იგი...

ნეტარება მის ნათელი შემოსილ მარჯვენას და
საუკუნო განსვენება დაუიწყო მღვდელ-მთავარს...

— სი. სოშ — ა.

ზ ა მ თ ა რ ი.

(კუძღვნი ჩუი საუკარელ მსწავლეებს ივ. ზ. რას — ილს).

ოჰ, დმერთო ჩემო! რა რიგ გრქელდება
ეს დაწვევლილი ცივი ზამთარი!
სიცოცხლისგან თვალთ მიხსნაღვდა,
გულზედ მწვება ნაღველი, ძმარი.

მრღვი დუნდება, სისხლი მიშრება,
ვტრძნობ — ანაღას არის აღსასრულია,
მაგრამ გინდ მოკვდე, არ შეუიქრება,
ოდონდ მოვიდეს გაზაფხულია!..

მაცოცხლებელი მისი სხივები
სამარეშიც კი ჩამომწვდებიან
და მშინ ვივტრძნობ, რომ მომქეპი
სასისარული უამს ღირსებია...

ბ. დავითაშვილი.

ნ უ შ ო.

(მოთხრობა)



არეთუბანში, ბუჭყიანთ სახლის მხრიდან
ორბელიანთ სახლებისკენ რომ გაივლით,
მარჯვნივ ვიწრო ქუჩას დაინახავთ, რომელიც
მტკვარზე ჩადის. მტკვრის ნაპირი აქ დაქანებული
სალი კლდისაგან შედგება. მდინარის ტალღები კარგ
მანძილზე ასველებენ ამ კლდეს. არ ვიცი, ახლაც
არის იმ ადგილას მორევი, თუ წყალმა წალამა, ად-
რე კი იქ საკმაოთ დიდი მორევი იყო, რომელიც
მდორეთ ტრიალებდა, დიდ ადგილას უვლიდა გარს,
შუაში ღრმით იხვევდა წყალს და აქოჩქოჩებდა. მო-
რევი კარგ სიკეთეს უმერებოდა გარეთუბნელ ლა-
რიბ ხალხს.

ეს ხელმოკლე ხალხი მოსახლეობდა ენქის
მოედნიდან დაწყებული ორბელიანთ სასახლებამდინ.
ისინი ძალიან ეტანებოდნენ ამ ადგილს, რადგან ბა-
ზარზე და წყალზე ახლო იყო, შუა ქალაქი ზედ ეკ-
რა და თანაც აქ ძველი შენობები იდგა წერილ სად-
გომებათ დაყოფილი, რომელიც იათ ფასათ ქირავ-
დებოდნენ. მართო შიგა-და-შიგ თუ ერთი დიდრონი
სახლები. კიდევ იმისთვის მოწონდათ ეს უბანი, რომ
აქ ერთბაირი ხალხი სახლობდა, ცხოვრება უფრო
სოფლურათ ჰქონდათ მოწყობილი, ყველამ იცოდა
ერთმანეთის გარემოება, ერთმანეთის ავ-კარგი და გა-
კარებაში დაუხმარებელს არ დატოვებდნენ არავის.
ბევრჯელ მინახავს, რომ ღარიბ ოჯახს უფრო მეტი
ქირის გაღება უმჯობინებია სხვა უბანში გადასვლას.

— გაჭირება რომ დამადგეს რამე, ვიცი მაინც,
მეზობლები ხელს მომამწვდიან; სხვა უბანში აბა ვის
მეადდე კარს? უთქვამთ ამისთანა შემთხვევაში.

გარეთუბნელები უმეტეს ნაწილათ ქალაქის
გარშემო სოფლებიდან იყვენ ჩამოსული. როცა
ოჯახი ჰკარგავს უფროსს და ევლარ უძღვება მინ-
დორს, ევენახს, საქონელს და სხვა სოფლურ საქმეს,
მაშინ ქერივი სოფელ-ში ბინასა შლის, ქალაქს მია-
შურებს რომ ემაწვილების შაგირდანიოთ და თავისი
ხელსაქმით თუ ფესზე გარჯით იცხოვროს, — მეტად-
რე მაშინ, თუ ქალი ქალაქიდან არის სოფელში გა-
თხოვილი. ეაყები წამოგსწრებიან ამისთანა ხალხს —
ცოლებს ხშირათ თავიანთ სოფლიდანვე უთხოვენ,
ქალები წამოგსწრებიან — ქალაქის მუშა ხალხს აძლე-
ვენ. ხომ დლიური შრომით ცხოვრებენ, მაინც ცდი-
ლობენ სოფელელებზე მაღლა დაიჭირონ თავი; ხან-
დისხან კიდევ დასცინიან სოფელელებს, თუმცა თი-
თონ მართო სიდატაკით არიან იმათზე დაწინაურე-
ბულები და თვალთ სოფლისკენვე უჭირავთ.

აი ამ ლარობ ხალხისათვის მოჰქონდა იმ მოკრეცს საკეთე მტკვარი რომ აღიდებოდა და ქალებიდან ნარიცს მოაქანებდა, მორევა ჩაჩხვედა ამ ნარიც შეშას და კარვა ხანს ატრიალებდა; უფრო მომცრო ტოტები და ნაჩხები ნაპირხედაც მიჰქონდა. სწორეთ ამ დროს ელოდა ხელმოკლე ხალხი: ჩადიოდენ წყალზე და იჭერდენ ნარიცს; შეშის ყიდვის ილაჯი რომ არა ჰქონდათ, იმით ითბობდენ საქმელს თუ წყალს. ამ საქმეს უფრო დედაკაცები და ბავშვები მისდევდენ, რადგან ვაჟკაცები სისხამილიაზევე გადიოდენ სამუშაოთ. ამ გეგართევე შოულობდენ შეშას ლარბი მოსწავლეები, რომელნიც ცხოვრებდენ გარეთუბანს რამდენიმე ერთათ პატარ-პატარა ოთახებში, ან რომელნიც შეჰპარებოდენ თავიანთსავეთ ლარობ ოჯახებს.

მტკვარზე ჩასავალ ქუჩაზე, თითქმის მდინარეს პირას იდგა მაგდა ძამიაშვილის სახლი, ერთი მოგძო ოთახი მიწური ბანიოთ. სართულს შუაზე შუშაბანდით დახურული დარბაზული სანათური ჰქონდა დატანებული. ოთახი აქედან ნათდებოდა, რადგან ორი პაწაწინა ფანჯარა, რომლებიც ოთახსა ჰქონდა ეზოს მხრივ, კრამატიო დახურული საჩენით იყო დაჩრდილული და საკმაოთ ვერ ანათებდა ოთახს. პაწაწინა ეზო ფიცრულით იყო შემოზღუდული, ფიცარი ალაგ-ალაგ ჩამალოყო და აყრილიყო, ეზოს ვეებერთელა ჰისკარი ეზა, რომელიც თითქმის ახალი იყო, ჯერ წამალიც არ გადასელოდა. ალაყაფის კარებისთვის ზევიდან თუნუქა წაეკრა და თავდაყირა დასმული ლურსმები გაემწკრივებიათ. ეს კარები ძამიაშვილმა მაშინ გააკეთა, თავის რძალს რომ გეყარა: უნდოდა ნიშნი მოეგო განაყოფისათვის, მაგრამ კარი პატრონსევე უსიებდა გულს მას აქეთ, რაც რძალმა დასციინა: გაუფთხილდა, მაგ კარებიდან სახლი არ გაგეპაროსო. ცხონებული ფიქრობდა სახლიც გაეახლებოდა, ეზოსთვინაც ქეთიკირის გალაგანი შემოგეტყუა, მაგრამ აღარ დასცალდა: ხარაჩოებზე მუშაობის დროს გაცივდა და მოკვდა. დარჩა ახალგაზდა ქერავეი მაგდა ცხრა თვის ბავშვით ხელში.

ქალმა თავი დადო და გადასწყვიტა მთელი თავისი სიცოცხლე პატარისათვის შეეწირა; მთელი თავისი იმედი თავის პატარა ნუშოზე დაამყარა. შეენიერი ხელსაქმე ცოლად, მეტადრე ჩიქილ თასაკრავის კერეა; ჩაუჯდა საქმეს და ისე ინახავდა ოჯახს. ძნელი იყო, ძალიან ძნელი დილით საღამომდინ ქარგის ჩაცქერა, ან ნემსის წვალეობა და თან ყმაწვილის მოვლა; ხანდახან მხნეობაც ღალატობდა ქერიც და ილაჯ-გაწყვეტილს მკლავები უდუნდებოდა, მაგრამ პაწაწინა ნუშოს ღიმილი ისევე ფთებს უსხამდა დაქანცულს, მხნეობას უორაკეცებდა. ჰერი ხომ თავისი

ეისი ჰქონდა, ხელ-საქმითაც იმდენს შოულობდა, რომ შეეძლო როგორც იყო ეცხოვრა. პაწაწინა ქალს არაფერი არ აკლდა; დედა თავს ველებოდა იმას, ციეს ნიავს არ აღენდა, ფარეანასავეთ ზედ დასტრიალებდა. მეზობლები რომ შევიდოდენ და სიყვარულით მიუალერსებდენ ფაქიზათ შენახულ ბამბის ქულა ყმაწვილს, იმას დედას გული ულიმოდა, საამაყესა გრძნობდა.

ბეერს ეტრა მაგდაზედ თვალი, ბეერმა შესაფერმა კაცმა ითხოვა ის, მაგრამ ქალი უარზე იყო, არა თხოვდებოდა.

— ხელობით კი, მართალია, არ ჩამოუვარდება ცხონებულს, მაგრამ, ვინ იცის, რა ხასიათი დაიჭიროს. ვაი, თუ ქობიც ხელიდან გამომაცალოს, ჩემი ნუშოც შეიძულოს, მომთხოვოს, რომ გული ავიყარო ამაზე, იტყოდა მაგდა და სიყვარულით ძიუბრუნდებოდა პატარას:

— არა, ჩემო გერიტო, ჩემო ქაბატონო, შენთან არავის არა აქვს ხელი, დედა შენი შენ არავის არ დაგაჩაგვრინებს.

— აგრე რომ ლაპარაკობ, ქალო, განა არ იცი, რა ღეთისნიერი კაცია ნალბანდიანთ ნინია, ან ღურგლიანთ ვანუა, ეტყოდა წყენით მაქანკალი.

— რა ვიცი, ქაჯან! ხომ მოგეხსენება გველი გარედან არის ჰრელი, კაკი შიგნიდანაო, მიუგებდა მაგდა და უფრო მარდათ, თითქო გაჯავრებით, აათამაშებდა ნემსს.

II

გარეთ-უბნელებს დილიდანვე დიდი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ერთმანეთში, მეტადრე ხშირათ შედიოდენ მაგდა ძამიაშვილის სახლში. მხიარულათ იყვენ. დღეს გარეთ-უბნიდან ხარუხუში მიჰყავდათ გეგენას ძმისწული კაკატო და იმის მზადებაში იყო უბანი: არ უნდოდათ ხარუხულებს ენახათ იმათი ნაკლულევენება და დაეძრახათ ისინი.

ობოლი კაკატო თავისმა ბიძამ ჩამოიყვანა სოფლიდან. გოგო იზდებოდა ბიძის სახლში. კარვა მოღერებული იყო, როცა ისევე პერანგა და ფეხშიშველა დარბოდა. ძალიან დაუდევნელი კაცი იყო ეს გეგენა. პატარა ჩამოყვანათ სოფლიდან, ხელობაზე მიეცათ, ათასნაირი ხელობა გამოეცეალა. მერმე ზესიძეთ შესულიყო. ცოლის სიკვდილს შემდეგ სამ ოთახიანი ძველი შენობა დარჩენოდა. ერთ ოთახში თითონ ცხოვრებდა, მეორე ოთახში მღვპური შეიდა აბაზს აძლევდა თვეში, მესამე ქუჩისპირა ოთახი მანეთნახევრათ ქირავდებოდა. თითონ გეგენას ძილი აწვა სენათ: სულ ეძინა; დღე, ღამე იმისთვის ერთი

იყო. საქმე ჭირით ეჯავრებოდა. ოთახის ერთ კუთხეში ბადე, ნესკაეები და ტილოს პარკი ეკიდა. სახლის ქირა და ეს ბადე აცხოვრებდნენ იმას, როცა გროშები გამოაგლეოდა და მეზობლებიც ევლარ მი-ახერხებდნენ კერძი მიეწოდებიათ, დაიძვრებოდა ადგილიდან; ჯერ მუხლებზე ხელ შემოხვეული იჯდა კარგა ხანს, უაზროთ გასცქეროდა კედელს, მერე წამოდგებოდა მთქნარებით, ჩამოიღებდა ბადეს, ვაშლიდა, დაუწყებდა შინჯვას, მთელი საათი ათვალიერებდა; ბოლოს ამოიოხრებდა და გასწევდა მტკვრისაკენ. საკვირველი მარჯვე ხელი ჰქონდა: უთუოთ გაავსებდა პარკს თევზით. მერე ისევ ძილს მიეცემოდა. სოფლათ მამული დარჩენოდა, მაგრამ უპატრონობით გვერანებულოყო. გვენა ხანდისხან მოიგონებდა სოფელს, ჩაიცვამდა ყურთმაჯიან კბას, ყაფლიან წაღებს, ტერნოს ახალუხს, შემოირტყავდა ვერცხლის ქამარს, დაიხურავდა ბუნრის ქუღს და გასწევდა. თავის მამულს რომ ნახავდა, დაიწყებდა:

— კაცო, ე ვენახი რომ გაგიტიალებიათ, მიწებს რომ ხან ერთი ხნაეთ და ხან მეორე, სახლი რომ სატუსალოთ გაგიხდიათ და თანაც ყველა ხარჯს მახდევინებთ, ღმერთი აღარ არის თქვენში? ქვეყანა და სამართალი! გიჩივლებთ. მე ვიცი ვერ ვიპოვი სამართლის გზას?

— რას გვემართლები? მოქალაქე კაცი ხარ, უხნაე-უთესოთაც კარგათ ცხოვრებ; სახლ-კარსაც რაც შეიძლება თვალყურს ვადევნებთ, თუ შენისთანა ქეთხუდა ხალხი არ შემოგვეშველა, როგორ გაუძღვებით ან ღედელს, ან ერს, ეტყოდა ერთი.

— არა, ევეენი მალხაზიჩ! მაინც მართალი არა ხარ: გასკლიხარ სოფელს, აღარც ჭირში გვარგინარ, აღარც ღზინში. შენისთანა ასაჰყოლო კაცები სოფელს სჭირია, შენ კი ქალაქში დასეირნობ, უსაყველურებდა სხვა.

გვენამ კარგათ იცოდა, რომ სოფლის მამული იმისათვის და ის სოფლისათვის გამოუსადეგარნი იყვენ, მაგრამ მაინც ამისთანა სიტყვებით თავმოწონებული გადაიყრდა ყურთმაჯებს და უფრო შეუშაღლებდა ხმას. ბოლოს მაინც იმითი თავდებოდა საქმე, რომ ასაჰყოლო მოქალაქეს ღვინოს ჩამოასხმევინებდნენ ღუქანში.

აი ამ კაცის ძმისწული მოეწონა ხარფუხელო ბიქს, რომელიც ბუჰყიაშვილის სახლებზე მუშაობდა, და ითხოვა. გვენა დათანხმდა, მაგრამ ამის მეტი შრომა კი აღარ მიუღია. აბა ტიტველ-შიშველ გოგოს ხომ ვერ გაისტუმრებდნენ უზნიდან, მზადებას შეუდგენ. ჯერ კიდევ რამდენჯერმე მიმართეს თითონ ბიძას, მაგრამ ის მეორე გვერდზე გადაბრუნდებოდა ხოლმე და ხერინვას ამოუშვებდა. რა გაეწყო-

ბოდა? თითონ უზნელები შეუდგენ სამზადისს. ზოგს საცვალი მიჰქონდა, ზოგს კაბა, ზოგს თასაკრავი, ზოგს ჩიქილა. ორბელიანთ ყურამდინაც მიალწია ამ ამბავმა და იმათ კარგი შემწეობა აღმოუჩინეს ქალს. ვისაც არაფრის შემწეობა არ შეეძლო, ის შრომას არ ჰშოკავდა. ჰკერდენ, რეცხდენ, აუთოებდენ, ახამებდენ, აცხოვდენ. მზითეეს მაგდას სახლში აგროვებდენ, რადგან იმას უნდა გამოეჭრა, გამოეწყო, თვალის ეღვენებია.

გ. ბაწრაკი.

(შემდეგი იქნება)

მესამე წლების მღვწენი

და

დღევანდელი ცხოვრება.

(თ. მ. კრისტაჟის იუბილეს უამო.)

III *)



ვენ ისტორიას ჩვენვე ვაკეთებთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველას შეგნებული გვექონდეს რას ვაკეთებთ. უეჭველათ ამა თუ იმ პირმა კარგათ იცის რას აკეთებს, როგორ მოქმედობს თავის მიზნის მისაღწევათ. აქ ის შეგნებულია. საზოგადოება, რომ ამ ერთი პირისაგან შედგებოდეს, ყოველივე ცხადი და აშკარა იქნება. ნამდვილათ კი ასე არ არის, ასეთი მოქმედი პირები მრავალია, აი ამათი ინტერესების ერთმანეთთან შეჯახება, მათი სხვა-და-სხვანაირი მოქმედობა და აზროვნება წარმოშობს ისტორიას. ამიტომ აუცილებელია იმ საზოგადო პირობების შესწავლა, რომელშიაც თვითვეული იმყოფება. ამას ადამიანისათვის ისეთი მნიშვნელობა აქვს, როგორც მეომრისათვის მტერთა ბანაკის დათვლიერებას. თვითვეული პირი, ცალ-ცალკე, იშვიათათ მოქმედობს, ის ვისთანმე შეეკავშირებულია, ამათი ინტერესი ერთია და ერთათ მიღიან. ამით წარმოადგება სხვა-და-სხვა მოწინააღმდეგე ჯგუფი (კლასი), რომელთა ბრძოლა წერთნის მეგრძოლოთ, ძალას ატანს ახალ-იარაღებით აღიჭურვოს, შრომა, ენერჯია განაეითაროს და კულტურულათ წინ წაეიდეს. ისტორიის ჩარხი აქ ტრიალებს. ამ მიმდინარეობას ეძღვევა ორი ფორმა: შინაგანი, კლასიური და

*) ის. კვალი № 11.

გარეგანი ეროვნული, ბრძოლა კლასთა და ერთა შორის. პირველი რაც უნდა ძლიერი იყოს აქეს ისეთი საზღვარი, სადაც მებრძოლნი ერთთა დგებიან, ერთ კულტურულ და ისტორიულ უღელში ებმინ. ეს ქმნის იმას, რასაც ეწოდება ერი, ეროვნული ძალა. აქ არის საერთო ფარვალი, ამას გარეთ სხვა არაა, ამას შეიგნით კლასებია, ირგვლივ კი ეროვნული ძალა, ეროვნული კულტურა, ეროვნული შენობაა.

მაშასადამე ხალხის განვითარება შეიძლება განიხილოს ორივე მხრივ: განვითარება მთელი ერის საერთოთ და განვითარება თვითი კლასის კერძოთ. ამათი გამოკვლევა უერთმანეთოთ მოუხერხებელია. ისტორიის ჩარხს კლასთა განხეთქილება ამოძრავებს, თუ ეს უყურადღებოთ დაეტოვებთ მთელი კითხვა წყლიადში რჩება და ხალხის ისტორია გადაიქცევა მეფეთა და გმირთა ისტორიით. ამ თვალთა ხედვის ისარით გადახედვით ჩვენ დღევანდელ მოქალაქობრივ ცხოვრებას. პოლიტიკურ მხარეს გვერდს აუხვევთ, ვინაიდან „სადაც არა სჯობს გაცლა სჯობსო“.

პირველათ განვიხილოთ ჩვენი ცხოვრების ეროვნული მხარე.

ეკონომიურ ასპარეზზე დღეს მარტონი აღარ ვართ, ჩვენთან ერთათ მოქმედებენ სხვა-და-სხვა ტომის ხალხი. ესენი ერთსა და იმავე ალაგას ერთმანეთს ეცილებიან, თვითი თვითი მიიღების საკუთარი ინტერესებისაკენ, ხოლო ყველანი ქართველობის ზურგზე გადადიან. მათ შორის ბრძოლაა, თუ რომელი უფრო ვაბატონდება ადგილობრივ ხალხზედო. ერი ეკონომიურათ განვითარებული განვითარებულია კულტურულათაც. ცხადია, ქართველობის კულტურული კითხვა ეს მისი ეკონომიური კითხვაა. ამ გზაზე ის გამოვიდა, მაგრამ წინ დაუხვედენ უკვე ამ გზაზე გამოსულნი და უკეთ შეიარაღებულნი. აი აქ ბრძოლა ატყდა, ბრძოლა სამკედრო-სასიცოცხლოთ და საქირა ამის გაგება.

ჩვენში მოქმედობენ სამი ხალხისანობის წარმომადგენელი: სომხები, ევროპელები და რუსები. გავარჩიოთ თვითი თვითი ცალ ცალკე.

სომხები. მას შემდეგ რაც სომხეთის სამეფო დაეცა, მტერთა მიერ დევნილნი სომხები განიბნენ სხვა-და-სხვა ქვეყანაში. მათ სიხლოვეს ერთთ-ერთი საქრისტიანო სახელმწიფო იყო ფეხზე და, რასაკვირველია, აქ თავ-შესაფარი უნდა მოეძებნათ. ისინი თავიდანვე საქართველოს ეტანებიან, სადაც დახმარებას, პატივს და მფარველობას პოულობენ. სომხების პირდაპირ ინტერესს შეადგენდა, საქართველო ძლიერი და მტერთა თავ-ზარ დამცემი ყოფი-

ლიყო, რადგანაც ორივეს ერთი და იგივე მტერი ყავდა. გამძლავრებულ საქართველოს შეეძლო თავის საზღვრებში გადმოსახლებულ სომხებისათვის უკეთ ეზრუნა და სამშობლოში დარჩენილთა ჭირვარაში შეემსუბუქებია. ამისათვის სომხებმა სახელმწიფო საქმეებში მხტრვალე მონაწილეობას იღებდენ. ისინი იყვენ სარდლები, კარის კაცები, მელიქები, ელჩები და სხვ. მეფენი საიდუმლო საქმეების გაწყობას მათ ანდობდენ. აქედან ცხადია, სომხებს ნდობა და პატივი დაუმსახურებიათ და მაშასადამე სახელმწიფოში გავლენაც ჰქონებიათ. ამის მიზეზი ერთი ის არის, რაც ზევით ვთქვით, ძლიერი საქართველო სომხობის სარგებლობას მოასწავებდა, ხოლო მეორე მიზეზი ის უნდა იყოს, რომ სომხები როგორც ვაჭარნი და ფულიანი საჭირონი იყვენ მთავრობისათვის. მეფეს და სხვა დიდულთ ვაჭირების დროზე შეეძლოთ მათგან ფულის სესხება. სამაგიეროთ ისინიც მფარველობას უწევდენ. ყველა ჩვენი მეფე, ვაჭრობის ინტერეს იცავს, ვაჭრობას კი ქართველი არ მისდევს. საიდან წარმოსდგება ეს უქველია, ვაჭრობა არ იყო საპიტიო ხელობათ მიჩნეული და თუ ვაჭრობის წარმატებისათვის მაინც მეცადინებოდნენ, ამას ხაზინის სარგებლობა მოითხოვდა. ამ მხრივაც სომხების ინტერესი იყო საქართველოს ინტერესი. ძლიერი მთავრობა უფრო კარგათ დაიცავდა ალებ-მიცემობას შინაგან და გარეშე მტრებისაგან ვინემ უძლური.

ვიმეორებ, სომხობის ეროვნული და ალებ-მიცემობითი სარგებლობა მოითხოვდა საქართველოს გაფართოებას და გაღრმავებას. მაგრამ, როცა დაუძლურება და სიძაბუნე შეეპარებოდა, მაშინ კი სხვაგან უნდა ეძიათ მფარველობა. სომხებს მხოლოდ ორი გზა ჰქონდათ: ან თვით-არსებობა აღდგინათ და ან უცხო ხალხს შეეპარებოდენ. პირველისთვის ღონე არ შესწევდათ, ხოლო მფარველი ასეთ არაულ დროს ძლიერი უნდა გყავდეს. სანამ საქართველო ამ როლს ასრულებდა, მანამდე სომხებსაც მისი მზახე უნდა დაეჭირათ, ხოლო როგორც კი ამ როლის ასრულებას ვეღარ შეიძლებდენ, სომხებიც უნდა გადადგომოდენ, რადგანაც სუსტი მფარველი მათ ანგარიშში არ შედიოდა. მეორეს მხრივ, ქართველ მთავრობას ყოველთვის შეეძლო თავის საზღვრებში უცხო ტომთა მოქმედება აელავმა, როცა ეს საჭირო იქნებოდა. ასეთ ღონეს დღეს დიდრონი სახელმწიფონიც მიბაძევენ ხოლმე. დღეს რომ ქართველობას საკუთარი პოლიტიკური ძალა ჰქონდეს უქველათ ესეთ ზომებს იხმარდა სომხობის წინააღმდეგ, რომ მით თვითონ გამაგრებულიყო ეკონომიურ ნიადაგზე. ცხადია, სომხობის ინტერესი იყო ასეთი

დაბრკოლება არ გადაღობებოდა საქართველოში ჯერ კიდევ მე-XVII საუკუნეში ვხვდებით სომეხებს და ქართველ მთავრობის შორის შეტაკებას. მაგ. ბექი-შირვანის მმართველ—იბრაჰიმ-ხანმა ორ სომეხს ფული შეესხა, ამათ კი არ ასესხეს, სამაგიეროთ ხანმა ძალათ წაართვა ქონება. სომეხები მეფე ერეკლესთან წამოვიდნენ საჩივლელოთ. მეფე მოკავშირე ხანს უფრო პატივს სცემდა ვინემ ვილაც ეატრებს. „ირაკლიმ არამც თუ უპატრონა მათ, არც კი ინახულა ისინი. ამას დიდი გავლენა ჰქონდა სომეხთის ხალხზე და მის ქათალიკოს ლუკაზე. ამას შემდეგ იმათ სულ სხვა გზებს მიმართეს, რომ თავისი ხალხი უზრუნველ ყოფილი გაეხდათ“. (ბუტკოვის წერილებიდან „კვალი“ № 39, 1895 წ.) ასეთი მაგალითი უეჭველათ ხშირი იქნებოდა და შეუძლებელიც იყო არ ყოფილიყო მაშინდელ მდგამარობაში. თუ კი მეომარ ქართველს ყოველ დღე სარჩო-საბადებელს ართმევდნენ, რა გასაკვირველია ეატრ სომხისათვის ხანდახან წაერთმიათ.

ამ სახით, სომხობის ინტერესი მოითხოვდა ასეთ დამაბლებელ მდგომარეობიდან პირველ შემთხვევისთანავე გამოსულიყვენ. ასეთმა შემთხვევაშაც არ დაიგვიანა. ჩვენს გვერდზე ამოკიმა ძლიერი სახელმწიფო—რუსეთი. სანამ მისი საზღვრები ჩვენგან შორს იყო, მანამ სომხებიც ძალა-უნებურად საქართველოთი უნდა დაკმაყოფილებულიყვენ. მაგრამ, როგორც კი საზღვრები მოიწია, მოგვიახლოვდა, მისელა-მოსელა ცოტადნათ გაადვილდა, მაშინ სომხებს საშუალება მიეცა თავის-თავისათვის უფრო რიგიანათ ეზრუნათ. და აი საქართველოს დაცემის ისტორიაში ისინი შესამჩნევ როლს თამაშობენ 1). „ამიერიდან, განავრძნობს ზემოთ მოყვანილი წერილის ავტორი, ასტრახანის არხივისკოპოსმა იოსებ არლუთაშვილმა ითავა თავის უბედური ხალხის შემწეობა. იმან განიზრახა, იმპერატრიცა ეკატერინეს მფარველობა მოეპოვებინა დაჩაგრულ სომხის ერზე, მეორე მხრით ეწმიადინის ქათალიკოსმა ლუკამ ასი ათასი მანეთი მიართვა ალა-მაჰმად-ხანს სამხედრო ხარჯათ, როცა იგი საქართველოში შემოსევას ემ-

1) მეოთხედი იტყვის, ქართველებზე ასეთ როლს თამაშობდნენ, სრული ჭეშმარიტებაა, მაშა აქ ჩვენ სომხებზე გვაქვს პასი. მეორეთ, ჩვენი აზრი სრულიან არ მოითხოვს ამას, რომ უეჭველათ თვითვეულ სომეხს ქართველობის წინააღმდეგ ემოქმედნა. ჩვენ ვამბობთ: ასეთი იყო მათი საერო ინტერესი, სოფელ რამდენათ თვითვეულ სომეხმა ეს შეიგნო ეს ვიდეკ სსვა კითხვაა, კერძო და საზოგადო ინტერესი სშირათ ერთი და იგივე არ არის...

ზადებოდა იმ განძახებით, რომ იბრაჰიმ-ხანი და მეფე ერეკლე აეკოლო. თვით სომხების მელოქები მეჯნუნი და აპო შეიქნენ ალა-მაჰმად-ხანის მოწინავე ჯარის წინამძღოლნი, ალა-მაჰმად-ხანი დიდი სიამოვნებით დაპირდა ყარაბაღის მელოქებს იბრაჰიმ-ხანის მიერ ჩამორთმეულ ადგილ-მამულების დაბრუნებას და თვით საქართველოში სომხების გაბატონებას. აი, ამის გამო სომხების მელოქებმა საიდუმლო კავშირი დაიჭირეს მეფე ერეკლეს მდივანთან თ. სულხან თუშანიშვილთან და იმის შვილ ძიოსთან, აგრეთვე იოსებ ყორღანიშვილთან, რომელიც იყო ირაკლი მეფის მემკვიდრის, გიორგის, შინა ოჯახის გამგე: „ამათ მეოხებით მეფეს განუყენეს გავლენიანი კაცები. (i. h.)“. საქართველოში სამი დაფარული დასი იყო, მოგვითხრობს თ. ალ. ჯამბაკურიან-ორბელიანი, წინააღმდეგი მეფის ირაკლისა: პირველი დასი სომხებისა, რომლებთანაც სომხების არაჩინურთს (მასუკან ორქივატერი, ეწმიადინის პატრიარხი) იოსებ არლუთიანს შეერთება ჰქონდა რუსეთიდან. ამ სომხების დასმა ყოველი საქართველოს ამბავი კარგათ იცოდა და სამეფოს სახლისა, რომელთაც ყველგან ჩუმი ავენტები ჰყენდათ; თვითონ ხომ თავისით საქმობდნენ და იმ მეფის ირაკლის უკმაყოფილო დასსაც ძლიან ხელს უმართავდნენ, მეფის ირაკლის დალუბვაში... როდესაც მეფე ეახტანგი და ბატონიშვილი ბაქარ (მეფე ეახტანგის შვილი) რუსეთში გადაიცივალენ, მას უკან იმათ მოადგილეთ არაჩინურთი იოსებ არლუთიანი იყო საქართველოს დასაღუბათ და დაღუბა იმან იმ ზოვიერთის სომხებითა საუფუძელამდინ და სხე. (იხ. წიგნაკი: „ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა თბილისში“). აი ასე მოქმედობდნენ სომხები, ამას მოითხოვდა მათი წარმატება, მათი მერმისი. ეს მათ კარგათ შეიგნეს და თვითონ ქართველობის დახმარებით ჩინებულათაც შეასრულეს. სომხებმა ქართველი მთავრობის შემწეობით საქართველოში ქონება შეიძინეს და ბოლოს ამავე ქონებით იმავე მთავრობის დასაცემათ კაცებს იქრთამავდნენ. სანამ საქართველოს თვით—არსებობა მათთვის სასარგებლო იყო ისინიც მხარს უჭერდნენ, როცა ეს მათთვის სასარგებლო აღარ იყო, ორმო გამოუთხარეს. ასეთია გზანი ისტორიისა! ყველა ერი მხოლოთ თავის ინტერესს იცავს და ვაი იმ ერს, რომელსაც თავისი ვერ შეუგინა!..

ასე თუ ისე საქართველომ შესწყვიტა თვით—არსებობა, მოიშალა პოლიტიკური კარტიდან. დაღვა მეცხრამეტე საუკუნე.

ნ. ყორღანიანი.
(შემდეგი იქნება)
ჩედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-უკრეთლისა.